ოქმი:ო63. 63262712
თარიღი:28/09/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N12

25 სექტემბერი. 2026 წელი.

11 საათი.

მიმდინარე წლის 25 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, ქიშვარდი ღაღანიძე,მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ალექსანდრე ლეჟავა.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი - ნუგზარ ნუცუბიძე.

3. სოფელ დიდი ჯიხაიშის 31-ე ქუჩის მცხოვრებნი - ზ.დარსაველიძე, ი.შუბლაძე, ლ.დარსაველიძე, ზ.მელქაძე, მ.ჩიხლაძე, ნ.ვაჩეიშვილი, ი კიკვაძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 31-ე ქუჩისთვის სახელის შეცვლისა და გიორგი ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6 ხმით) კენჭი

უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადება, სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 31-ე ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გიორგი ნიკოლაძის სახელი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და სოფელი დიდი ჯიხაიშის 31-ე ქუჩის მცხოვრებლებმა.

ზურაბ დარსაველიძე - მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენს ქუჩას (31-ე ქუჩას), მიენიჭება ამ დიდებული ადამიანის სახელი. ამ ქუჩაზე არის ასევე გიორგი ნიკოლაძის სახელობის სკოლა.

ჯონი თევზაძე - როგორც მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრებნი ეთანხმებით და მიესალმებით, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშში 31-ე ქუჩას მიენიჭოს გიორგი ნიკოლაძის სახელი.

ჩვენ მოვამზადებთ დოკუმენტაციას, სამთავრობო კომისიაში გასაგზავნად.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (6 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი და მიემართოს სამთავრობო კომისიას.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი